

„ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა “
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2017 წლის თებერვლის
N..... ბრძანებით

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - „ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული ცენტრის“ („ახალგაზრდობის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“) ფარგლებში კონკურსის გამოცხადებისა და განაცხადის განხილვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - „ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული ცენტრის“ („ახალგაზრდობის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“) ფარგლებში, საუკეთესო ინიციატივების შერჩევა განხორციელდება კონკურსის მეშვეობით.

1.2. კონკურსს ატარებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) ბრძანებით შექმნილი კომისია.

1.3. ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის“ ფარგლებში ღონისძიება - „ახალგაზრდობის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ითვალისწინებს ახალგაზრდების მიერ ინიცირებულ ან ახალგაზრდობის სფეროში სასარგებლო და მნიშვნელოვანი პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის განვითარებას.

1.4. პროექტი უნდა განხორციელდეს და დასრულდეს 2017 წლის განმავლობაში.

1.5. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან (შემდგომში - მერია) მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10 000 (ათი ათასი) ლარს.

1.6. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ პირს, თუ ის აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

1.7. ინიციატივები, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, აგრეთვე მათ მიერ შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირებისა და ორგანიზაციების მიერ არ განიხილება.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ახალგაზრდობის სფეროში ინიციატივების წახალისება, სკუთარი პოტენციალის სრული რეალიზება და ახალგაზრდობის სრულფასოვანი განვითარების ხელშეწყობა. საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური ჩართვის შესაძლებლობა.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტთა ნუსხა:

3.1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) შევსებული სააპლიკაციო ფორმა;
- ბ) ავტობიოგრაფია (CV);
- გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- დ) სარეკომენდაციო წერილი;
- ე) თანადაფინანსების შემთხვევაში - დამადასტურებელი საბუთი;

3.2. დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით (PDF ფაილის სახით);

3.3. მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია;

3.4. თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, საქმის წარმოება განხორციელდება კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. კონკურსის ეტაპები

4.1. კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს:

- ა) დოკუმენტების მიღება - პირველი ეტაპი.
- ბ) დოკუმენტების განხილვა - მეორე ეტაპი.

4.2. დოკუმენტების მიღებას აწარმოებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილება. დოკუმენტაცია შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა მერის ადმინისტრაციის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილებას, რომელიც წარუდგენს კომისიას ინფორმაციას განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.

4.3. მერის ადმინისტრაციის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების მიერ, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, განაცხადის სრულყოფილად წარმოდგენის მიზნით (ხარვეზის აღმოფხვრა, დაფინანსების კორექტირება, პროექტის დაზუსტება და ა.შ.), განმცხადებელს მერის ადმინისტრაციის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების მიერ განაცხადის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი ფორმით მიეცემა 5 სამუშაო დღის ვადა მოთხოვნილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენისათვის.

4.4. არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში კომისია არ განიხილავს განმცხადებლის განაცხადს.

4.5. კონკურსის მეორე ეტაპზე ხორციელდება დოკუმენტების დეტალური განხილვა.

4.6. კონკურსში მონაწილის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ა) პროექტის აქტუალურობა - მაქსიმალური შეფასება 10 ქულა;
 - ბ) პროექტის ინოვაციურობა და კრეატიულობა - მაქსიმალური შეფასება 10 ქულა;
 - გ) პროექტის თანადაფინანსება - მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
 - დ) პროექტში საზოგადოების ჩართულობა - მაქსიმალური შეფასება 10 ქულა.
 - ე) პროექტის ხანგრძლივობა - მაქსიმალური შეფასება 10 ქულა;
 - ვ) კონკურსანტის გამოცდილება - მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;
- 4.7.** შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა დაჯამებით.

მუხლი 5. კონკურსის ჩატარებისა და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები

5.1. განაცხადების მიღება იწარმოებს თვეში ერთხელ, ერთ ეტაპად: ყოველი თვის პირველი რიცხვიდან თვის ბოლომდე;

5.2. კომისია შემოსულ განაცხადებს განიხილავს და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს აცნობებს განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

5.3. განაცხადების მიღება იწარმოებს 2017 წლის საკონკურსო ბიუჯეტის ამოწურვამდე.

მუხლი 6. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

6.1. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

6.2. კომისია:

ა) ამტკიცებს იმ კონკურსანტთა სიას, რომელთა განაცხადები არ შეესაბამება წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;

ბ) განიხილავს კონკურსანტების განაცხადებს (საკონკურსო დოკუმენტაციას) და ახდენს მათ შეფასებას;

გ) წარუდგენს მერს ინფორმაციას კონკურსის შედეგების შესახებ.

6.3. კომისია უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც;

6.4. გამარჯვებულად მიიჩნევა და დაფინანსდება ის კონკურსანტი, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს.

6.5. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია პროექტის ავტორის ასაკი (14 -29 წ.) და სხდომის თავმჯდომარის პოზიცია.

6.6. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით კომისიის მდივნის მიერ 2 სამუშაო დღის ვადაში.

6.7. კომისიის მიერ პროექტის ავტორის დაფინანსების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ოქმის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გამოიცემა პროექტის ავტორის დაფინანსების თაობაზე მერის ბრძანება, რომლის პროექტს ამზადებს მერის ადმინისტრაციის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება.

მუხლი 7. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორთან ხელშეკრულების გაფორმება

7.1. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორის დაფინანსების შესახებ მერის მიერ ბრძანების გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, მერის ადმინისტრაციის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების მიერ განმცხადებელს ეცნობება, რომ მერიასთან ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა გამოცხადდეს შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7.2. მერის ბრძანების საფუძველზე მერის ადმინისტრაციის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება ამზადებს ავტორთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტს, რომელსაც ხელს აწერს კურატორი მერის მოადგილე.

7.3. შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება, არა უმეტეს 30%-სა, ავტორის მიერ წარმოდგენილი საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის საფუძველზე (გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურების შესრულების ვადას).

მუხლი 8. კონკურსის მონაწილის/კონკურსში გამარჯვებულის ვალდებულებანი

8.1. კონკურსის მონაწილე ვალდებულია მერიის მიერ განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს მოცემული წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

8.2. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ წარმოადგინოს მის მიერ განხორციელებული პროექტის შესახებ საბოლოო პროგრამული და ფინანსური

ანგარიშები და გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მასალები (მათ შორის ზედნადები, ანგარიშფაქტურა, საგადახდო დავალება, ინვოისი, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, უწყისი, სალარო შემოსავლისა და გასავლის ორდერი), რომლის საფუძველზეც 7 სამუშაო დღის ვადაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი და ავტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში ხორციელდება საბოლოო ანგარიშსწორება.